ტაბაკი ოთხოზორიას ბრისადი ფონდი

Фонд № 287 Опись № 1 Ед. хр. № 141

დასკანირებულია
16.01.2025 (7)

Фонд № 287 Опись № 1 Ед. хр. № 141

ГРУЗИНСКОЕ ЕПАРХИАЛЬНОЕ
ПОДВОРЬЕ ГРУЗИНСКОГО ХРАМА

13.

„საბჭოთა აჭარა", 1974, 25.VI.
№ 122

სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში წარმატებით გრძელდება სახელმწიფო გამოცდები. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები აჯამებენ ხუთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს.

ამ დღეებში სტუდენტებმა კარგად ჩაბარეს სახელმწიფო გამოცდა ქართულ ენაში.

აი, რა თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა. თოფურიამ.

— წინა წლების შედეგებთან შედარებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში სოხუმელ სტუდენტთა მომზადება შესამჩნევად უკეთესია. სახელმწიფო გამოცდებზე სტუდენტთა უმრავლესობამ გამოავლინა საგნის საფუძვლიანი ცოდნა, რაც მოწმობს ფაკულტეტის შესაბამისი კათედრების ნაყოფიერ მუშაობას მათი დასპეციალებისათვის. სასურველია მოპოვებული წარმატებანი შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნეს.



სურათზე: სახელმწიფო გამოცდა ქართულ ენაში.

ფოტო ე. გუგუშვილისა.

ᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში.

სესიამ მოიწონა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საგეგმო საქმიანობის დარგში თანამშრომლობის კომიტეტის საქმიანობა 1976-1980 წლების პერიოდისათვის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომპლექსური პროგრამის განხორციელებისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდი-

ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲝᲓᲜᲐ

(დასასრული).

წინაშე, ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების წინაშე. უკვე ახლა, აღინიშნა თათბირზე, რესპუბლიკის მეურნეობის ზოგიერთ დარგში გვყავს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია, ჭნარი არ შესწევთ გაბედულად და შემოქმედებითად გადაჭრან მეურნეობების კონკრეტული საკითხები.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, უმაღლესი განათლების ორგანოებმა მომავალში არ უნდა დაუშვან პროტექციონიზმის არც ერთი შემთხვევა.

თათბირზე განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მეჭრთამეობის საკითხი. თათ-

ტის სტუდენტთა კონტინგენტის საქმეში, სადაც მისაღებ გამოცდებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბოლომდე მხოლოდ თბილისელი აბიტურიენტები აბარებენ.

მომხსენებლებმა და თათბირზე გამოსულებმა დიდი წუხილი გამოთქვეს რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების, რესპუბლიკის ტექნიკუმების მოსწავლეებით დაკომპლექტების საკითხის გამო, სადაც როგორც წესი, არ სრულდება მიღების გეგმები. მაგალითად შარშან 6.310 კაციდან, რომლებიც ტექნიკუმების დღის განყოფილებებზე აბარებდნენ, მიღებულია 6.042 კაცი. ეს არის საშუალო სკოლების მოსწავლეთა სუსტი პროფორიენტაციის შედეგი, ანალოგიური მდგომარეობა იყო საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზეც.

ლი ნიშნები მიიღო, 22.708 აბიტურიენტიდან, რომლებიც გამოცდას აბარებდნენ მათემატიკაში რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ორიანები მიიღო 10.478 კაცმა. ეს ისეთი ციფრებია, რომლებსაც სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ. ისინი მოწმობენ, რომ საშუალო სკოლაში მდგომარეობა ვერ არის რიგზე. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უახლოეს მომავალში მან თავის კურსდამთავრებულებს მისცეს მეტი ცოდნა. ეს არის განათლების ყველა მუშაკის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საარსებო და გადაუდებელი საქმე.

შარშან საკმაოდ ორგანიზებულად არ იყო დაკომპლექტებული უმაღლესი სასწავლებლები მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელებით. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 1.250 კაციდან, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 1.073 კაცი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეგმით გათვალისწინებულზე — 93 კაცით ნაკლები, უნივერსიტეტში — 34 კაცით, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — 14 კაცით, სამედიცინო ინსტიტუტში — 10 კაცით ნაკლები.